



# შირაკი

## SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№45 (9.659)

29 ნოემბერი-6 დეკემბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## ახალი ფრაქცია საკრებულოში



დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 28 ნოემბერს რიგგარეშე სხდომა გამართა. დეპუტატებმა დღის წესრიგით განსაზღვრულ 7 საკითხს უყარეს კენჭი და დაამტკიცეს.

პირველ საკითხად დადოფლისწყაროს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - რეგიონალების“ შექმნის საკითხი განიხილეს და ცნობად მიიღეს. მეორე საკითხად კი ფრაქცია „ქართული ოცნება - თავისუფალი დემოკრატების“ გაუქმება იყო.

ალასანიას ფრაქცია დადოფლისწყაროს საკრებულოში რამდენიმე კვირის წინ დაიშალა, მისი წევრები პარტიას მთლიანად გაემიჯნენ და ქართული

ოცნების რიგებში რჩებიან. მათი თქმით, ირაკლი ალასანიას ნაბიჯები მათთვის სრულიად მიუღებელია. ალასანიას ფრაქციის ყოფილი თავმჯდომარე ნიკოლოზ ხუციშვილი იმავდროულად პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ დადოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარეც იყო, რომელიც ასევე დატოვა.

ყოფილი ფრაქციის მესამე წევრი ბესიკ ქავთარაძე გაზეთ „მირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ არცერთ ფრაქციაში ყოფნის სურვილი არ აქვს, სწორედ ამიტომ, ის ახლად შექმნილ ფრაქციაში არ განუერთიანდა. თუმცა, ქავთარაძე ხაზს უსვამს, რომ კოალიცია „ქართული ოცნებაში“ რჩება.

ფრაქცია „რეგიონალებში“ მესამე წევრად სოფელ სამრეკლოს მათორიტარი დეპუტატი გოჩა სამუკაშვილი განუერთიანდა, სწორედ მან წარუდგინა ფრაქციის პროექტი საკრებულოს. 20 ნოემბრიდან ახლად შექმნილი ფრაქციის თავმჯდომარე კვლავაც ნიკოლოზ (ნუკრი) ხუციშვილი იქნება.

სესიაზე დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პრემიის გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის წესი დაამტკიცეს. ცვლილების მიხედვით: დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ პირზე პრემია შეიძლება გაიცეს

კვარტალში ერთხელ. პრემია შესაძლებელია გაიცეს, ასევე, არაუმეტეს წელიწადში სამჯერ, უქმე დღეებთან დაკავშირებით და არ უნდა აღემატებოდეს საჯარო მოხელის თანამდებობრივ სარგოს.

ამას გარდა, დეპუტატებმა განიხილეს საკითხი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების შესახებ დადოფლისწყაროს საკრებულოს №53-ე დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. როგორც მომხსენებელმა, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა გიორგი გონაშვილმა დეპუტატებს განუმარტა, მას შემდეგ, რაც სოფლის რწმუნებულებს სახელწოდება შეეცვალათ და ისინი გამგებლის წარმომადგენლად იწოდებიან, საჭირო გახდა მათი თანამდებობრივი სარგო განსხვავებოდეს სხვა თანამდებობის პირებისგან. ამდენად, სოფლებში გამგებლის წარმომადგენელთა ხელფასი სიმბოლურად, 20 ლარით შემცირდება.

ოპოზიციური პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა ლევან ბალაშვილმა საკრებულოს მოუწოდა, კომისიების სხდომების შესახებ საკრებულოს აპარატმა ოპოზიციასაც წინასწარ აცნობოს. მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ საკრებულო ხუთი თვეა მუშაობს, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები კომისიის სხდომებს ვერ ესწრებიან და საკრებულოს აპარატი მათ ინფორმირებას არ ახდენს. იგივე პრეტენზია გამოხატა ალასანიას ფრაქციიდან წამოსულ-

მა უმრავლესობის დეპუტატმა ბესიკ ქავთარაძემ. მისი თქმით, დღის წესრიგი დროულად ვერ მიიღო, რის გამოც კენჭისყრაში მონაწილეობა არ ისურვა.

ასევე, დეპუტატებმა მოისმინეს „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები, რომელიც მათ გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელმა დავით ფხოველიშვილმა დეტალურად გააცნო. ფხოველიშვილის განმარტებით, გასული წლებისგან განსხვავებით, წელს დასაგეგმი პროექტები შედარებით ადრე უნდა გაიგზავნოს, რათა ზამთარში დოკუმენტაციის მომზადება და ექსპერტიზა შეუფერხებლად მოეხერხოს. მისი თქმით, მომავალ წელს კვლავაც გაგრძელდება გზების რეაბილიტაციის, წყალმომარაგების სისტემის და სხვა საჭირო პრობლემების მოგვარება. დეპუტატების კითხვაზე, თუ რა ბედი ელით იმ სოფლებს, რომლებიც ჩამონათვალში არ მოხვდა, განმარტეს, რომ დანარჩენ სოფლებში სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ან სხვა სახსრებით დაფინანსდება.

დეპუტატებმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისთვის 1-დან 30 დეკემბრის ჩათვლით კუთვნილი შვებულების გამოყენების საკითხს მხარი დაუჭირეს. დეკემბრის თვეში ნუგზარ პაპიაშვილის მოვალეობას გოჩა სამუკაშვილი შეასრულებს.

ილია მარტყოფილი

## მკაცრი ჯარიმები - ბარამოს დასაცავად!

ბარამოს დაზინძურება საქართველოში საკმაოდ აქტუალური თემაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემაზე ყველა ღიად საუბრობს, მისი გადაჭრა მაინც ვერ ხერხდება. ჯარიმების ამოქმედება სხვადასხვა სფეროში არსებული გვერდი პრობლემის მოგვარება, ამიტომ ამ პანორამის ავტორები ფიქრობენ, რომ მისი მიღება ბარამოს დაზინძურების განკარგვისთვის...

ჩვენს ქვეყანაში რაღას არ შეხვედებით- სიბერის ნაშენებსა თუ გზისუფროსის

ნარჩენებს, მანქანებიდან გადავიწყობთ ხოლმე და ძალადგზებ რომ ალბარაფარი ვთქვათ. ამ ილიციას თუ ჰპაროვი მოვრიცხავთ პოლიტიკაში აკრძალვის დაწესებით, უსიამოვნო შედეგებზე უფრო მძაფრი ბახდება... სპირალ ვხვდებით სიტუაციას, რომც ნაგვის გუნდებთან მიტანილი ნარჩენები მის გარშემო მიმოფანტული, გუნდები მოთავსების ნაცვლად. ესეც ახალი მოღვაწე, რომელსაც ანონი ვერ არამბულირებს...

საოცარია, საცხოვრებელ ბი-

ნას ყველა ასუფთავებს, ქუჩასა და ეზოზე კი იშვიათად თუ ვინმე ზრუნავს. სწორედ ამიტომ ძალიან ბევრი მოქალაქე იწონებს კანონპროექტს, რომელიც გარემოს დაბინძურების გამო ჯარიმების გამოკატრებას ითვალისწინებს: ჯარიმის მინიმალური ოდენობა 50 ლარი იქნება, ხოლო მაქსიმალური - 5.000 ლარი.

ახალი კანონპროექტის თანახმად, სახლის ფანჯრიდან ნარჩენების გადაყრა, სადარბაზოში ან სახლის წინ დაყრა 100 ლარით დაჯარიმდება, ხოლო მანქანიდან გადმოყრა - 140 ლარით.

ეს მიზეზული ციფრებია ევროპის ქვეყნებთან შედარებით, სადაც ჯარიმა 2.000-დან 5.000 ევრომდეც კი აღის.

“როდესაც ჩემს ძმაკაცებთან ერთად ვარ, სიგარეტის ნამწვებს ან მზესუმბირის ნარჩენებს ქუჩაში მეც ვყრი. ალბათ, ჯარიმის შიში რომ მქონდეს, ასე აღარ მოვიქცეოდი”, - ამბობს გიორგი, რომელსაც არაერთი ჩვენი თანამემამულე დაეთანხმება.

კანონპროექტს მომხრეებიც ჰყავს და მონინალმდეგეებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეს ჯარიმები სადამსჯელო ლო-

ნისიძებდა და ბიუჯეტის შევსების წყაროდ გადაიქცევა.

პარლამენტის წევრი, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარის მოადგილე თემურ მაისურაძე ამბობს, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ყველას, ვინც გარემოს დაბინძურებს, 50-დან 5.000 ლარამდე ჯარიმა დაეკისრება: 50-დან 150 ლარამდე დაისჯება შედარებით მსუბუქი დაბინძურება, როდესაც მოქალაქე ნარჩენებს ქუჩაში დაყრის ან მანქანიდან გადმოაგდებს. (გაგრძელება გვ.3)

**მუხაუზში ხეხსურობის შეხვედრა მოუწყვეს**

გვ.4

**1 დეკემბერი შიღის ბრძოლის მსოფლიო დღეა!**

**შიღსი**

გვ.6

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - საქართველოში პირველად**

გვ.5

**ახალი პროექტები დადოფლისწყაროში**

გვ.2

## ირაკლი ღარბაშვილი - ევროკავშირთან ურთიერთობაში თვისობრივად ახალი ეპოქა გავსხენით



ჩვენ თვისობრივად ახალი ეპოქა გავსხენით ევროკავშირთან ურთიერთობაში, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარბაშვილმა "ექსპოჯორჯიაში", საქართველო-ლატვიის ბიზნესფორუმზე განაცხადა, რომელსაც ლატვიის პრეზიდენტიც ესწრება. ღარბაშვილის თქმით, საქართველომ წამოიწყო საკვანძო რეფორმები სხვადასხვა მიმართულებით.

"ჩვენ თვისებრივად ახალი ეპოქა გავსხენით ევროკავშირთან ურთიერთობაში. მინდა მადლობა გადავუხადო ლატვიის პარლამენტს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მოახდინა საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. ლატვიამ ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ლატვიელი ხალხი ჩვენი ერთგული მოკავშირეა. ჩვენ წამოვიწყეთ საკვანძო რეფორმები პოლიტიკის, ეკონომიკის და მართლმსაჯულების სფეროებში. ჩვენ გვაქვს ძალიან მკაცრად განერილი დრო და ამ იმპლემენტაციის პროცესს პირადად მე ვაკვირდები. ვხელმძღვანელობ კომისიას, რომელიც მონიტორინგს უწევს იმპლემენტაციის პროცესს", - აღნიშნა ღარბაშვილმა.

მისივე თქმით, ბრიუსელში ვიზიტის დროს საქართველოს პროგრესი ღიად დაფიქსირდა.

"რამდენიმე დღის წინ ვიყავი ვიზიტით ბრიუსელში და შეხვედრების დროს ევროკავშირის და ნატოს ხელმძღვანელებმა ღიად დააფიქსირეს, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა ამ მოკლე დროში და მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ევროპასთან დაახლოების პროცესში. მათ შორის აღნიშნა საქართველოს წინსვლა გამჭვირვალ და თავისუფალი ეკონომიკური გარემოს კუთხით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის", - განაცხადა ღარბაშვილმა.

## მაღალმთიან რაიონებში საექიმო სპეციალთა მამიებელთათვის განათლების დაფინანსების პროგრამა იწყება

მაღალმთიან და საზღვრისპირა რაიონებში სამედიცინო სერვისების შენარჩუნების მიზნით, საექიმო სპეციალობის მამიებელთათვის, დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების დაფინანსების პროგრამა იწყება. რეზიდენტურის გავლა სახელმწიფო ხარჯზე მათთვის იქნება შესაძლებელი ვინც მაღალმთიან და საზღვრისპირა რაიონებში სამუშაოდ წავა.

პროექტში მონაწილეობის უფლება აქვთ საექიმო სპეციალობის მამიებლებს, რომლებსაც წარმატებით აქვთ ჩაბარებული ერთიანი დიპლომის შემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა (მათ შორის, იმ მამიებლებს, რომლებსაც დაწყებული აქვთ დიპლომის შემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) აკრედიტებულ სამედიცინო დაწესებულებებში/სასწავლებლებში). შერჩევის პროცესში ჩართული იქნება აღნიშნული კატეგორიის ყველა მსურველი, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა. მამიებელთა მომზადება განხორციელდება შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სამედიცინო სასწავლებლების/დაწესებულებების კლინიკურ ბაზებზე. შერჩეულ პირებთან გაფორმდება სტანდარტული ხელშეკრულება.

პროგრამა უმაღლესი სამედიცინო განათლების დასრულების და სახელმწიფო სერტიფიკატის მინიჭების შემდეგ საექიმო სპეციალობის მამიებელთა მაღალმთიან და საზღვრისპირა რეგიონებში დასაქმებას ითვალისწინებს. გათვალისწინებულია 40 ვაკანსია 8 საექიმო სპეციალობაში: ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია, ზოგადი ქირურგია, მეანობა-გინეკოლოგია, შინაგანი მედიცინა, პედიატრია, გადაუღებელი მედიცინა, ნეონატოლოგია, საოჯახო მედიცინა.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში უნდა წარადგინონ.

## 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე მოქალაქეები ზირადობის მოწმობებს 15 ლარად მიიღებენ

ოუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით, 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე მოქალაქეები პირადობის მოწმობებს 34 - ის ნაცვლად 15 ლარად მიიღებენ. აქციით სარგებლობის საშუალება ნებისმიერ მსურველს, სრულწლოვან თუ არასრულწლოვან მოქალაქეს ექნება.

ახალი პირადობის მოწმობის ასაღებად მოქალაქეებმა ოუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ფილიალებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს უნდა მიმართონ.

იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის გაცემასთან ერთად ხდება რეგისტრაციის ადგილის შეცვლა, მოქალაქემ უნდა მიმართოს სერვისების განვითარების სააგენტოს/ოუსტიციის სახლის იმ ფილიალს, რომლის სამოქმედო ტერიტორიასაც განეკუთვნება მისი ამჟამინდელი საცხოვრებელი მისამართი. თუ მოქალაქე არ იცვლის მისამართს და სურს ახალი პირადობის მოწმობის მიღება, ამ შემთხვევაში მას შეუძლია, სერვისების განვითარების სააგენტოს/ოუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს ან საზოგადოებრივ ცენტრებს მიმართოს.

აქციის დასრულების შემდგომ, ახალი პირადობის მოწმობის ღირებულება ისევ 34 ლარი იქნება.

## საკაშვილს გირგვლიანის საქმეზე ბრალი დაუმძიმდა

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ბრალი დაუმძიმდა. მიხეილ სააკაშვილს სანდრო გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე ბრალი ედება.

როგორც პროკურატურაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განმარტეს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ ადგილი ჰქონდა სისტემურ დანაშაულს.

კერძოდ, აღექვანდრე გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა, გამოძიების გაყალბება, დანაშაულში ჩართული მალაღობის თანამდებობის პირებისთვის ხელის დაფარვა და მათთვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდება განხორციელდა სახელმწიფო უწყებების და მათი ხელმძღვანელი პირების, შინაგან საქმეთა მინისტრის ივანე მერაბიშვილის, დავით ახალაიას, ბაჩანა ახალაიას, და საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის კორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად.

## ზარღამენტმა ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტი დაამტკიცა

პარლამენტმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტი საბოლოო, მესამე მოსმენით დაამტკიცა.

კანონპროექტს მხარი 73 დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგ კი პარლამენტის 30 წევრი წავიდა. კანონპროექტის მესამე მოსმენით განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ თინა ხიდაშელს და "თავისუფალ-დემოკრატებს".

აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უფლება შსს-ს რჩება, თუმცა, ამოქმედდება ე.წ. ორგანოების სისტემა, რომელთაგან ერთი "გასაღები" შს სამინისტროს რჩება, ხოლო მეორე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ხელში იქნება.

## 2015 წლიდან მაწონზე ახალი რეგულაციები ამოქმედდება

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი მოამზადა, სადაც მანონზე სპეციალური ჩანაწერი გაკეთდა.

პროდუქტი, რომელიც მანვნის დასახელებით გაიყიდება, მხოლოდ ნატურალური რძით და საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილი, ადგილობრივი რძემწე ბაქტერიების შტამებისაგან შემდგარი დელოთი უნდა დამზადდეს.

რეგლამენტი ხელმოწერიდან 6 თვეში შევა ძალაში. ამის შემდეგ რძის გადამამუშავებელი კომპანიები მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ პროდუქტს მანვნის დასახელებით ვეღარ გაყიდონ. თუმცა, მანვნის ადგილობრივი რძემწე ბაქტერიების შტამებისაგან შემდგარი დელოთი წარმოების მოთხოვნა უფრო გვიან დაკანონდება.

რეგლამენტის მიხედვით, რძის პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებს ადგილობრივი დელოთი მანვნის წარმოების მოთხოვნების შესასრულებლად 2-დან 5-წლამდე დრო მიეცემათ. კონკრეტული ვადა წლის ბოლომდე დაუსტდება.

## ზარღამენტმა თვითმმართველობებში შტატების გაზრდის პროექტი დაამტკიცა

პარლამენტმა მეორე მოსმენით თვითმმართველობებში შტატების გაზრდასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პროექტი დაამტკიცა. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, რამდენი მაჟორიტარული ოლქიც არის მუნიციპალიტეტში, საშტატო რიცხოვნობას იმდენი საშტატო ერთეული შეიძლება დაემატოს.

პარლამენტმა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები 83 ხმით, 46 - ის წინააღმდეგ მიიღო.

„რამდენი მაჟორიტარული ოლქიც არის მუნიციპალიტეტში, საშტატო რიცხოვნობას იმდენი საშტატო ერთეული შეიძლება დაემატოს — თუ 15-ია, მაშინ 15 კაცი, თუ 20-ია - 20 კაცი და ასე შემდეგ“, - განაცხადა კანონპროექტის ავტორმა, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გია ჟორჯოლიანმა.

პროექტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის განსაზღვრის წესი შემდეგი ფორმულით ყალიბდება: - „გამგეობის, მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობა არანაკლებ 30 ერთეული. იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ამომრჩევლეთა რაოდენობა 45 000 კაცზე ნაკლებია, საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული მინიმალური რაოდენობის (30 საშტატო ერთეული), შესაბამის საკრებულოში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებისთვის დაგეგმილი მაჟორიტარული ოლქების რაოდენობის 3.2 კოეფიციენტზე ნამრავლისა და თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ყოველ 450 ამომრჩეველზე ერთი საშტატო ერთეულის დამატებით მიღებულ ჯამს. იმ მუნიციპალიტეტებში კი, სადაც ამომრჩევლეთა რაოდენობა 45 000 კაცზე მეტია, საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო მოსამსახურეთა მინიმალური რაოდენობის (30 საშტატო ერთეული), შესაბამის საკრებულოში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის დადგენილი მაჟორიტარული ოლქების რაოდენობის 2.3 კოეფიციენტზე ნამრავლისა და თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ყოველ 500 ამომრჩეველზე ერთი საშტატო ერთეულის დამატებით მიღებულ ჯამს“.

პარლამენტის მიერ 2013 წელს მიღებული ახალი თვითმმართველობის კოდექსით, თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში თანამშრომელთა რაოდენობის ერთგვარი ლიმიტირება განხორციელდა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, ყველა მუნიციპალიტეტის მინიმალური საბაზისო საშტატო რაოდენობა 30 ერთეულით და პლუს, ყოველ 500 ამომრჩეველზე ერთი საშტატო მოსამსახურეთა განისაზღვრა.

პარლამენტის მიერ 2013 წელს მიღებული ახალი თვითმმართველობის კოდექსით, თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში თანამშრომელთა რაოდენობის ერთგვარი ლიმიტირება განხორციელდა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, ყველა მუნიციპალიტეტის მინიმალური საბაზისო საშტატო რაოდენობა 30 ერთეულით და პლუს, ყოველ 500 ამომრჩეველზე ერთი საშტატო მოსამსახურეთა განისაზღვრა.

## ახალი პროექტები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, 2015 წლიდან, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება დაიწყება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა, პრიორიტეტული პროექტების შერჩევის მიზნით, მოაწყვეს გასვლითი შეხვედრები ქ.დედოფლისწყაროს, სოფელ არბოშიკის, ოზანის, გამარჯვების, ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის, სამთაწყაროს, საბათლოს, ხორნაბუჯისა და სამრეკლოს მოსახლეობასთან.

თითოეულ შეხვედრაზე, მოსახლეობასთან პასუხის რეჟიმში გამართულ დისკუსიაზე გადაწყდა, რომ მომავალი წლიდან, ამ პროექტის ფარგლებში, სოფლებში დარჩენილი უზენისის წყალმომარაგება, გზების მოასფალტება, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, სანიტარული არხებისა და სასამედიცინო ცენტრების მოწყობა მოხდება.

# ევროკავშირის მომავალი თავიჯდომარე - ლატვია, საქართველოს გვირგვინი

საქართველოს სტუმრობდა ლატვიის რესპუბლიკის წარმომადგენლობითი დელეგაცია, პრეზიდენტი ანდრის ბერზინსის ხელმძღვანელობით, რაც, ექსპერტების თვალთახედვით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის გამო, რომ ლატვია მალე დაიკავებს ევროკავშირის მორიგე თავიჯდომარე ქვეყნის პოსტს. სწორედ ლატვიის დელეგაციის რიგში ჩატარდება მისში აღმოსავლეთ პარტნიორობის მომდევნო სამიტი, რომელსაც საქართველოს განსაკუთრებული მოლოდინი უკავშირდება. საქართველოს ზალტიისპირა მეგობარი სახელმწიფოს იმედი აქვს ტერიტორიული მთლიანობის გამოწვევასთან მშვიდობიანად გამკლავების ჭრილობაში.

„ულარესად მნიშვნელოვანია, რომ ლატვიის პრეზიდენტის ვიზიტი შედგა სწორედ დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის წინაშე კიდევ ერთხელ მწვევად დადგა სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხი“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა 26 ნოემბერს გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე. საქართველოს პრეზიდენტი გულსხმობდა რუსეთსა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკას შორის ორშაბათის სოჭში ხელმოწერილ ე.წ. ხელშეკრულებას „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“. პრეზიდენტი მარგველაშვილისთვის ეს ნათელი სიგნალი იმისა, რომ რეგიონის ოკუპაცია ანექსიისკენ მიდის და რომ, რუსეთის ქმედებების ჭრილობა, საქართველოს პრობლემები რეგიონალური პრობლემების ნაწილია:

„ჩვენი ყველა მცდელობა მდგომარეობს იმაში, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, რომელსაც ამ საკითხთან შეხება აქვს, ჩართული იყოს ამ პროცესში და უნდა მოხდეს კიდევ უფრო გაფართოება და ინტერნაციონალიზაცია იმისთვის, რომ მეტი მოთამაშე იყოს ჩართული და რეალურად პრობლემის რაციონალური გადაჭრა მოხდეს. ამავდროს, ჩვენ უნდა

დავინახოთ ის, რომ, რეალურად, საქართველო, უკრაინა და სხვა ქვეყნები არ უნდა იქნენ დასჯილი თავიანთი თავისუფალი არჩევანისთვის. რეალურად უნდა იყოს დაცული დემოკრატიული თანამედროვე ქვეყნების — საქართველოს, მოლდავეთისა და უკრაინის - არჩევანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვითარება ბევრად უფრო არასტაბილური და არაპროგნოზირებადი ხდება“.

რუსეთსა და საქართველოს აფხაზეთის შორის ხელმოწერილ ე.წ. ხელშეკრულებას „უკან გადადგმული ნაბიჯი“ უწოდებდა ლატვიის პრეზიდენტი ანდრის ბერზინსმა და იქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ნაბიჯი ხელს უშლის სამშვიდობო პროცესს და ეჭვქვეშ აყენებს სტაბილურობას რეგიონში. შესაბამისად, პრეზიდენტი ბერზინსი თვლის, რომ ერთადერთი გამოსავალი რეგიონის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების პროცესის გაგრძელებაშია. ამ ჭრილობაში ის ხედავს თანამშრომლობის გაძლიერების აუცილებლობას როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროებს, ასევე თავდაცვის სამინისტროებს შორის. ხოლო რაც შეეხება რუსეთთან დიალოგის წარმართვისა და ურთიერთობათა დალაგების მცდელობის შედეგიანობას, ლატვიის პრეზიდენტი სამშვიდობო მიდგომების ალტერნატივას ვერ ხედავს:

„პოსტსტაბილური ქვეყნების სამშვიდობო მშვიდობის და ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს — უნდა გამოვწვინოთ გზები ნორმალური ურთიერთობების დასამყარებლად მეზობლებთან, მათ შორის — რუსეთთან. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი ხანგრძლივი მშვიდობიანი და სტაბილური ურთიერთობების დასამყარებლად, თუმცა ამას დრო სჭირდება. და ჩვენთვის ნატოსა და ევროკავშირის წევრობა არის მნიშვნელოვანი რეალური პოზიტიური შედეგების მისაღწევად“.

როგორც დაცულობისა და განვითარების გარანტიას, საქართველოს სწრაფვას ევროპული და ევროატლანტიკური

ინტეგრაციისკენ, ყოველთვის უჭერდა მხარს ლატვია და, როგორც პრეზიდენტმა ბერზინსმა აღნიშნა 26 ნოემბერს, პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე, ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო განმტკიცდება და ლატვიას შეუძლია მნიშვნელოვანი გამოცდილება გაუზიაროს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში შესაბამისი მაღალი სტანდარტების დასაწერად სხვადასხვა დარგში. პარალელურად კიდევ უფრო გაღრმავდება და განვითარდება ორი ქვეყნის ურთიერთობები.

ლატვიის დელეგაცია 100-ზე მეტი ადამიანით არის წარმოდგენილი და მათ შორის არიან სხვადასხვა დარგის მინისტრები თუ სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები. დელეგაციის შემადგენლობაში ითვლიან 70-მდე ბიზნესმენს, რომლებსაც საქართველო პოტენციურ ინვესტორებად განიხილავს. ბიზნესმენთა შესაძლებლობებისა და პერსპექტივების მოსასინჯად, ლატვიის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, საგანგებოდ დაიგეგმა ორი ბიზნესფორუმი: ოთხშაბათს — თბილისში, ხოლო ხუთშაბათს — ბათუმში.

„ჩვენი მთავრობა მზად არის შემოგთავაზოთ მაქსიმალურად კომფორტული პირობები საქართველოში თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის“, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა 26 ნოემბერს თბილისში, საგანგებო ევროკავშირისა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება. გამოიხატა იმედები მომავალი წლის გაზაფხულზე რიგაში დაგეგმილი სამიტის ჭრილობაში და ეს იმედები ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის პერსპექტივებს უკავშირდება. მართალია, უვიზო მიმოსვლა საქართველოს მოქალაქეებისთვის რიგის სამიტის დასრულებისთანავე ვერ გახდება შესაძლებელი, მაგრამ თბილისის მოვლის, რომ ამის შემდეგ დიდი დრო აღარ იქნება დარჩენილი, ისევე როგორც ეს მოლდავეთის შემთხვევაში მოხდა — 2013 წლის ნოემბრის ვილინიუსის სამიტის შემდეგ.



გაღრმავებას დაისახავს მიზნად. ბიზნესფორუმის მონაწილეებს პრეზიდენტმა ანდრის ბერზინსმაც მიმართა და, თავის მხრივ, დახმარება აღუთქვა ქართველ ბიზნესმენებს ლატვიაში.

ლატვიის დელეგაცია, პრეზიდენტი ანდრის ბერზინსის ხელმძღვანელობით, თბილისში გამართული შეხვედრების დროს არაერთი მაღლობის ადრესატი გახდა საქართველოს მიმართ გამოვლენილი განსაკუთრებული მეგობრობისა და ერთგულებისთვის. საგანგებოდ აღინიშნა, რომ ლატვიის პარლამენტი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც მოახდინა ევროკავშირისა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება. გამოიხატა იმედები მომავალი წლის გაზაფხულზე რიგაში დაგეგმილი სამიტის ჭრილობაში და ეს იმედები ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის პერსპექტივებს უკავშირდება. მართალია, უვიზო მიმოსვლა საქართველოს მოქალაქეებისთვის რიგის სამიტის დასრულებისთანავე ვერ გახდება შესაძლებელი, მაგრამ თბილისის მოვლის, რომ ამის შემდეგ დიდი დრო აღარ იქნება დარჩენილი, ისევე როგორც ეს მოლდავეთის შემთხვევაში მოხდა — 2013 წლის ნოემბრის ვილინიუსის სამიტის შემდეგ.

„ლატვია ხდება 2015 წელს ევროკავშირის თავიჯდომარე ქვეყანა... მისი ერთ-ერთი მკაფიო პრიორიტეტი აღმოსავლეთ პარტნიორობა. ჩვენ ვლოცობთ ასევე კონკრეტულ ნაბიჯებს რიგის სამიტზე ვიზალიზირებული ინიციატივების დაკავშირებით“, — უთხრა ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუაშვილმა.

ევროკავშირის მორიგე თავიჯდომარე ქვეყნის პოსტს ლატვია 2015 წლის 1 იანვრიდან 6 თვის ვადით დაიკავებს და, შესაბამისად, ქვეყანა უკვე ემზადება ამისათვის. როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტმა შორენა ლორთქიფანიძემ უთხრა რადიო თავისუფლებას, ამ ეტაპზე პრეზიდენტის ჩამოსვლა დასტურია იმისა, რომ საქართველო ლატვიის, როგორც ევროკავშირის მორიგე თავიჯდომარე ქვეყნის, დღის წესრიგში მნიშვნელოვან ყურადღებას დაიმსახურებს:

„ლატვია მეგობარი ქვეყანაა ჩვენი. ის დაახლოებით იმავე პრობლემებსა და საფრთხეებს მოვლის რუსეთისგან, რასაც საქართველო. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი პრობლემების ქვეყნების მიმართ სოლიდარობა საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად. ლატვია სწორედ ის ქვეყანაა, რომელსაც კარგად ესმის საქართველოს მდგომარეობა“.

## მკაცრი ჯარიმები - ბარემოს დასაცავად!

(პირველი გვერდიდან)

ხოლო 150-დან 500 ლარამდე - როცა ქუჩაში დიდი რაოდენობით ნაგავს დაყრის. არ შეიძლება ქუჩაში ფოთლების დანვა, საბურავების გადაყრა და სხვა მსგავსი ქმედებები. რაც შეეხება მავნე ნივთებს, მაგალითად, ბატარეების ან აკუმულატორების ქუჩაში დაყრა 250-დან 1.000 ლარამდე დაისჯება. 5.000 ლარით დაჯარიმდება ის, ვინც რეინჯერებს ან პატრულს წინააღმდეგობას გაუწევს.

ჯარიმა გამოიწვევს როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სამრეწველო ნარჩენების დაყრის გამოც. კანონის დამრღვევი ორივე შემთხვევაში დაჯარიმდება. სპეციფიკური ნარჩენებით გარემოს დაბინძურების გამო ცალკე რეგულაციები დაწესდება. კანონი ჯერ ნაწილობრივ შევა ძალაში და თანდათან სრულყოფილად ამოქმედდება იმის მიხედვით, თუ რამდენად სწრაფად მოახერხებს ხელისუფლება ამ

რეგულაციების ამოშავებას.

არავინ უარყოფს, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენების ქუჩაში დაყრა ან მანქანიდან გადაყრა დაუშვებელია, მაგრამ ამ დროს საჭიროა მტკიცებულება. ალბათ, შეკითხვები სწორედ ამ ნაწილში იქნება. მაგალითად, დასავლეთის ქვეყნებში საკმარისია მოქალაქის განცხადება, რომ ვიღაცამ ქუჩაში ნარჩენები დაყარა, მაგრამ საკითხავია, ჩვენთან ეს როგორ მოგვარდება? ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია ჯერ ნაგვის დაყრა დაფიქსირდეს, რომ მერე ეს ყველაფერი მტკიცებულებად გამოდგეს.

თორემ დაჯარიმებულმა რომ გაასაჩივროს და თქვას, ეს ნარჩენები მე არ დამიყრიაო, ხომ უნდა არსებობდეს სანი-

ნააღმდეგო დამტკიცების საშუალება? სხვათა შორის, საქართველო ერთ-ერთ ყველაზე „დაბინძურებულ ქვეყნად“ არის მიჩნეული, ნამდვილად არაა სასიამოვნო ამისი აღიარება, მაგრამ სიმართლეს ვერსად გა-



ვექცევით. კანონპროექტის მიხედვით, ვიდეოთვალის სისტემა ამოქმედდება. გარემოს დაბინძურების ფაქტებს ვიდეოთვალის დაფიქსირებას, ეს სისტემა დიდ

ქალაქებში იმუშავებს, სხვა დასახლებულ პუნქტებში კი ორი მონმის ჩვენებას საკმარისი იქნება - იმ მონმებისა, ვინც დაინახეს, რომ ამა თუ იმ პირმა ქუჩაში რაღაც დაყარა.

საზოგადოების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით ამ კანონპროექტის მონიწილობით, ამბობენ, რომ ეს ყველაფერი ბიუჯეტის შესავსებად კეთდება. თუმცა, ჯარიმების ამოქმედებას გაცილებით მეტი მომხრე ჰყავს, ვიდრე მონიწილობით. ნააღმდეგობა და კიდევ ჯარიმების დამატება რა საჭიროაო. ნუ დაყრის ქუჩაში ნაგავს და არ დაჯარიმდება! სახელმწიფოს ჩვენი ქუჩების დასუფთავება ხომ ფული უჯდება.

ბა, ამიტომ ამ თანხის ნაწილს გადაიხდის ის, ვინც ანაგვიანებს.

ახლა იმაზეც მსჯელობენ, რეალურად ამოქმედდება თუ არა ეს კოდექსი, რადგან გარემოს დაცვის სამინისტროში ამ კოდექსზე დიდი ხანია მუშაობენ. მისი რამდენიმე ვარიანტი წლების წინ შეიმუშავეს, მაგრამ საქმე არ დაიძრა. საბედნიეროდ, კოდექსმა „ნარჩენების შესახებ“ უკვე დღის სინათლე იხილა და კანონპროექტს პარლამენტში კვირაში განიხილავენ. რაც შეეხება შედეგებს - შედეგი კანონის მხოლოდ მაშინ მოჰყვება, თუ მისი მოთხოვნები შესრულდება: თუ ის ხალხი, ვინც გარემოს დააბინძურებს, დაჯარიმდება, თუ ამ საქმეში რეინჯერებიც აქტიურად ჩაერთვებიან და საზოგადოებაც ფიზიკურად იქნება, ჩვენი შვილები დანაგვიანებულ, უსუფთაო ქუჩებში აღარ გაიზრდებიან.

კანონის დამრღვევმა უნდა იგრძნოს ამ ჯარიმების სიმძიმე - სხვაგვარად ის კანონის მოთხოვნას არ დაიცავს.

# მუზეუმში ხევისურებს შეხვედრა მოუწყვეს



ამ დღეებში დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა მუზეუმის დირექტორის ლალი გურასაშაულისა და თანამშრომლების ინიციატივით, კიდევ ერთ ღამაზე ღონისძიებას უმასპინძლეს. ღონისძიება ხევისურების თემის შევსებულადა, კერძოდ, მიმოიხილეს დედოფლისწყაროში ჩასახლებული ხევისურების ცხოვრება და მოღვაწეობა. ხევისურების თემზე საუბრისას თემის ვერ აუხვევდნენ რაღაც თქმა უნდა ხევისურების ტრადიციებს და ხევისურულ პოეზიას, სწორედ ამიტომ ქალბატონმა ლალი გურასაშაულმა საღამოს წაყვანა სიმბოლურად ჩვენი რაიონისთვის კარგად ნაცნობ პოეტს, ბატონ თამაზ ნიკლაურს მინადო, რომელიც წარმოშობით ასევე ხევისური გახლავთ.

თავდაპირველი სიტყვა თამაზ ნიკლაურმა მუზეუმის თანამშრომელს ნინო პოპიაშვილს გადასცა, რომელმაც ხევისურეთზე ინტერნეტში არსებული ვიკიპედია ნაუკითხა საზოგადოებას: „ხევისურეთი – საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. იგი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე. კავკასიონის ქედი მას ორ ნაწილად ჰყოფს – პირიქითა და პირაქეთა ხევისურეთად. პირიქითა ხევისურეთი შედგება სამი ხეობისაგან: მიღმახევის, შატილის და არხოტის, პირაქეთა ხევისურეთი – არაგვის ხეობისაგან. ხევისურეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩეჩნეთი და ინგუშეთი, აღმოსავლეთით – თუშეთი, დასავლეთით – ხევი და გუდამაყარი, სამხრეთით – ფშავი. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ხევისურეთის მთელი ტერიტორია შედის მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის მუნიციპალიტეტში და ოთხ თემადაა გაყოფილი: ბარისახოს, გუდანის, შატილის და არხოტის. სახელწოდება „ხევისურეთი“ შერქმეული აქვს მხარის მთიანი, ხევებიანი ადგილმდებარეობის გამო. ამ სახელწოდებით წყაროებში XV საუკუნი-

დან იხსენიება. ხევისურეთის ადრინდელი სახელწოდებაა ფხოვი (ასე ეწოდებოდა მას ფშავთან ერთად), ხოლო ხევისურებისა და ფშავლებისა – ფხოველები. პირიქითა და პირაქეთა ხევისურეთი უკავშირდებიან არხოტისა და დათვის-ჯვარის უღელტეხილებით. საუკუნეების განმავლობაში ხევისურეთი პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტატუსით სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. სამეფო ხელისუფლების დასუსტების პერიოდში არაგვის ერისთავები, რომელთაც მთიანეთის საერთო გამგებლობა ევალებოდათ, ცდილობდნენ ხევისურეთზე საბოლოო გაბატონებას. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში ხევისურეთის მნიშვნელობა გაიზარდა, იგი ბარს იცავდა მომხვედრი მოთარეშე რაზმების დარბევისაგან. ხევისურები ქმედითად მონაწილეობდნენ ასპინძის ბრძოლაში (1770), კრწანისის ბრძოლაში (1795). მთიულეთის აჯანყებისა (1804) და 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს აქტიურად იბრძოდნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო ხევისურების სხვა რეგიონებში გადასახლება. XX საუკუნის 50-იან წლებში ხევისურეთის მოსახლეობის ნაწილის ბარად ჩამოსახლებას ნეგატიური სოციალური და ეკონომიკური შედეგი მოჰყვა. 80-იან წლებში დაიწყო ხევისურეთის მიტოვებულ რეგიონებში ცხოვრების გეგმაზომიერი აღორძინება. ხევისურეთში შემორჩენილია შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლები: ხახმატის ციხე, ახიელის ციხე, ლეზაისკრის ციხე, მუცოს ციხე-სოფელი, არდოტის ციხე-სოფელი, ხახაბოს ციხე-სოფელი, შატილის ციხე-სოფელი, გუდანის ჯვარი, ანატორის ჯვარი, ანატორი, აკლ-დაბები. ხევისურეთს შეუძლია გამოკვებოს მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი, ამიტომ ნამრავლი იძულებულია სხვაგან გადასახლდეს და თავისი სარჩო იქ მოიპოვოს. ასე გაჩნდა ხევისურთა ახალმენები ხევი (ჯუთა), გუდამაყარში,

ერწო-თიანეთში, კახეთში, კერძოდ გომბორსა და შირაქში.“

ნიშანდობლივია, რომ ღონისძიების პარალელურად მისი მხატვრული გაფორმება უნდა მომხდარიყო და მსვლელობის პარალელურად დიდ ეკრანზე ხევისურებზე გადაღებული საათნახევიანი ფილმის (ფილმის ავტორი გაა ყაჭაშვილი) ჩვენება უნდა მომხდარიყო, თუმცა ტექნიკური ხარვეზის გამო ეს ვერ მოხდა. აქვე მუზეუმის დირექტორმა ქალბატონმა ლალი გურასაშაულმა შენიშვნა შეიტანა, რომ მუზეუმს სჭირდება მეტი მხარდაჭერა და ტექნიკური აღჭურვა, იმისთვის, რომ მათ მიერ ჩატარებული ღონისძიებები მაღალკვალიფიციური და უხარვეზო იყოს.

თავის მხრივ თამაზ ნიკლაურმა დამსწრე საზოგადოებას ხევისურების ცხოვრების ისტორიული მომენტები შეახსენა და მკვეთრად გაუსვა ხაზი ამ კუთხის ხალხის ძლიერ, გაუტყნელ სულს, რომ ხევისურები ოდიოზან ძლიერი ძალა იყო საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის შესანარჩუნებლად და მათ მხრებზე გადადიოდა ჩრდილოეთით მომთაბარე დურძუკეთისგან საქართველოს დაცვა. ამასთან ერთად ხევისურები რჩეული მხედრები იყვნენ ერეკლე მეფის ჯარში, საქართველოს ისტორიის მანძილზე ხევისურები ყოველთვის გამოირჩეოდნენ საოცარი თავდადებით, ერთგულებით და სიმტკიცით, რისთვისაც ერეკლე მეფე ძლიერ აფასებდა ხევისურთა მოდგმას. ბატონმა თამაზმა აღნიშნა ისიც, რომ

ბატონმა თამაზ ნიკლაურმა ჩვეული რიხით წაგვიკითხა ხალხური ლექსი ხევისურეთზე, რომელიც მას ბავშვობიდან ზეპირად ასხვავდა, ხოლო შემდეგ თავისი კაცია მოგვახსენა, რომელიც პირველად ხევისურეთში სტუმრობის დროს ერთ-ერთ ღამაზე ხევისურ ქალს მიუძღვნა.

აქვე მონვეულ საპატიო სტუმრებს შორის გახლდნენ ხევისური ადამიანები, უხუცესები და ჩვენი თანამემამულენი 80 წლის ბადა თეთრაული და შოთა ცისკარაული, რომლებმაც ძალიან ტკბილად ისაუბრეს და გაიხსენეს ხევისურეთიდან გადმოსახლების მათ ხსოვნაში შემორჩენილი ფრაგმენტები. მათვე ისაუბრეს ადგილობრივ დამხდურ ხალხზე და დადებითი განწყობა გადმოგვცეს ადგილობრივთა მიმართ.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს დემა ლოლაძეილებმა, რომლებმაც სამშობლოს თემზე საკუთარი ახლად შექმნილი სიმღერის პრეზენტაციაც მოახდინეს ამ საღამოზე. აქვე გახლდნენ სოფელ სამრეკლოს ქალთა გუნდი „სამრეკლო“ (ხელმძღვანელი გაიოზ ხუციშვილი), რომლებმაც სიმბოლურად ხევისურულ თემზე 6-7 სიმღერა შეგვისრულეს და ამით საკმაოდ დადებითი მუსიკა შემოიტანეს დამსწრეთა განწყობაში.

ღონისძიებას ესწრებოდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობა, მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი



1924 წლის კახეთის აჯანყებაში ხევისურებს არანაკლები წვლილი მიუძღრით.

საკმაოდ საინტერესო გამოდგა მუზეუმის თანამშრომლის დალი ბალაშვილის გამოსვლა. მან თავისი ხევისური დედამთილის 93 წლის მარიამ ოჩიაურის გახსენება წაგვიკითხა და მოგვიყვა, თუ, როგორ მოხდა მათი ჩამოსახლება შირაქში. შემდეგ კი, ხევისურული მანდილოს ისტორიის შესახებ გავაცნო ცნობები.

ნაწილი ნატროშვილი და კულტურის ცენტრის თანამშრომლები. საკრებულოს წევრებმა მიხეილ ბახუტაშვილმა და გივი გიგაურმა, ასევე ქალბატონმა ნანული ნატროშვილმა მადლობა გადაუხადეს მუზეუმის თანამშრომლებს და ღონისძიების ყველა მონაწილეს ასეთი ღამაზე და საინტერესო დღის ჩუქებისთვის.

ლალი მხრინიშვილი

## სანდა

9 ნოემბერს ქალაქ თბილისში „კუნგ-ფუს“ ეროვნულმა ფედერაციამ ჩაატარა საქართველოს თასის გათამაშება „კუნგ-ფუს“ სანდაში, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის გუნდები და კლუბები, ასევე მონვეული იყო აზერბაიჯანის ორი გუნდი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხანის კლუბი „ზაქები“ არის



„კუნგ-ფუს“-ს ეროვნული ფედერაციის წევრი და მონაწილეობდა ამ დიდ შეჯიბრში. ისინი კარგი შედეგებით დაბრუნდნენ: ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო.

პირველი ადგილი დაიკავა: გიორგი ნატროშვილი  
მეორე ადგილი დაიკავა: ტატო ნატროშვილი  
მესამე ადგილი დაიკავეს: გიგა ნატროშვილი, გიორგი ნატროშვილი.

გუნდის საუკეთესო სპორტსმენი სანდრო ნატროშვილი რამდენიმე თვეა ტრამვის გამო მონაწილეობას ვერ იღებს. გუნდს ამზადებს კახეთის „კუნგ-ფუს“-ს გენერალური მდივანი და მთავარი მწვრთნელი გენადი ნატროშვილი.

## ხრიდოლი

თბილისში 22 ნოემბერს ხრიდოლის ეროვნულმა ფედერაციამ ჩაატარა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ხრიდოლის ფედერაცია საკმაოდ ფართო ფედერაციაა. მათ შორის კახეთის რეგიონიდან კლუბი „ზაქები“. ფინანსების არქონის გამო გუნდიდან მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. გიორგი ნატროშვილი, რომელმაც ერთმანეთზე საუკეთესო შეხვედრები იმართა, ყველა შეხვედრა სუფთა გამარჯვებით დაამთავრა და გახდა საქართველოს ჩემპიონი.

ნოემბრის თვეში სამჯერ, სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახეობაში სამი ოქროს მედალი მოიპოვა გიორგიმ. ეს თვე იღბლიანი იყო გიორგი ნატროშვილისათვის.



## გრავლინგი

8 ნოემბერს ქ. თბილისში ჩატარდა ტურნირი გრაფლინგში. სპორტის ეს სახეობა საქართველოში ახლად იდგავს ფეხს, მსოფლიოში კი ის ცნობილი

და პოპულარული სპორტის სახეობაა. ამ შეჯიბრზე „ზაქები“-დან მონაწილეობდა გიორგი ნატროშვილი. მან საუკეთესოდ იასპარეზა და დაიკავა პირველი ადგილი.

# არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი — საქართველოში პირველად



იუსტიციის სამინისტრომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მოამზადა, რომლის მიზანია პუმანური და ლიბერალური გახადოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა. კოდექსი კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის მართლმსაჯულების ახალ სტანდარტებსა და ნორმებს ამკვიდრებს. კანონპროექტი ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კოდექსის ძირითად პრინციპებზე იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი გვესაუბრა.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს, ხელი შეუწყონ იმ ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულების მქონე კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბებას, რომლებმაც, როგორც ითვლება, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებული არიან მის დამრღვევებად.

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი პირველად შეიქმნა. აქამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მართლმსაჯულების ნორმები სისხლის სამართლის კოდექსში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და პატიმრობის კოდექსში იყო გაბნეული.

„ბავშვის უფლებათა კონვენცია გვეუბნება, რომ როცა საქმე არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას ეხება, სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ სპეციალიზებული

ინსტიტუტები ამ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. კონვენცია აზუსტებს, რომ ბავშვად მოიაზრება 18 წლამდე ასაკის ინდივიდი. სპეციალიზებული ინსტიტუტების არსებობა — ეს არის ერთ-ერთი მთავარი. სწორედ ეს შემოგვქვს ახალი კოდექსით. ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ, საქართველოში იქნებიან სპეციალიზებული პოლიციელები, გამომძიებლები, პროკურორები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სპეციალიზებული მოსამართლეები, რომლებიც ბავშვების საქმეებს გამოიძიებენ და განიხილავენ“, — აღნიშნავს თეა წულუკიანი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი უცვლელი რჩება და ისევე 14 წელია.

„კონვენცია ყველა სახელმწიფოს, გვაავალდებულებს, რომ პასუხისმგებლობის მინიმალური ზღვარი იყოს დადგენილი. ჩვენთან ეს დღეს არის დადგენილი, მაგრამ კოდექსში კიდევ ერთხელ ჩავწერთ, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი არის და იქნება 14 წელი. ამ კოდექსის მიზნებისთვის არასრულწლოვნები იქნებიან 14—დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები. კოდექსის რამდენიმე მუხლი, იმ შეღავათებს, რომელიც 14—18 წლის არასრულწლოვნებზეა გათვალისწინებული, ავრცელებს 18 — 21 წლის ახალგაზრდებზეც, განსაკუთრებით მათზე, ვინც პირველად არის მოსამართლის წინაშე და ადრე არ ყოფილა კანონთან კონფლიქტში. ასეთი შეღავათია მაგალითად განრიდება,

მეთვალყურეობაში გადაცემა და ა.შ.“, — ამბობს იუსტიციის მინისტრი.

კანონპროექტი არასრულწლოვანის დაკითხვისას ან მისგან ახსნა — განმარტების მიღებისას საგამოძიებო მოქმედების განმარტებულ ორგანოს ავალდებულებს ბავშვს განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს. გამოკითხვის პროცესს აუცილებლად უნდა ესწრებოდეს კანონიერი წარმომადგენელი ან ადვოკატი, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგი.

იუსტიციის მინისტრის განმარტებით, კოდექსის პროექტი ითვალისწინებს მართლმსაჯულების ნებისმიერ ეტაპზე კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებას და მის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას.

კანონპროექტი საგამოძიებო ორგანოს ავალდებულებს, იმ შემთხვევაში თუ სისხლის სამართლის საქმეში არასრულწლოვანი და სრულწლოვანი მონაწილეობენ, არასრულწლოვანის ეპიზოდი ცალკე საქმედ გამოიყოს, თუ ეს გამოძიების ეფექტიანობას ხელს არ შეუშლის.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი სისხლის სამართლის დევნასთან მიმართებაში პრიორიტეტს ანიჭებს ადგენილი მართლმსაჯულების და მედიაციის, აგრეთვე განრიდების ინსტიტუტებს.

„მთავარი და უმთავრესი, სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა იყოს შესაძლებლობებიდან ბოლო. თუ მაინც სისხლის სამართლის დევნის ობიექტი გახდა არასრულწლოვანი, იქ პატიმრობა უნდა იყოს უკანასკნელი გამოსავალი“, — აცხადებს თეა წულუკიანი.

ახალი კოდექსით 60—დან 30 დღემდე მცირდება ბრალის წარდგენიდან წინასასამართლო სხდომამდე ბავშვისთვის პატიმრობის ვადა. ბრალდებულად ყოფნის ვადა კი 6 თვეს არ უნდა აღმატებოდეს. ეს შეღავათი შესაძლოა 18—დან 21 წლამდე ბრალდებულზეც გავრცელდეს. ამ საკითხზე კონსულტაციები გრძელდება.

„გამომძიებლის ეტაპზე პროკურატურა არც დღეს ითხოვს ბავშვის დაპატიმრებას თუ არ არის რეციდივი ან მძიმე დანაშაული. მაინც პირდაპირ ჩაინერება კოდექსში, რომ პატიმრობა არის უკანასკნელი გამოსავალი,

რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე საერთოდ არ ვიყენებთ. პრაქტიკას კეთილ ნებაზე ვერ დავტოვებთ. ეს ინტიტუციურად უნდა იყოს განმტკიცებული“, — ამბობს მინისტრი.

კოდექსში ჩანერილია, რომ თავისუფლების უვადო აღკვეთა ბავშვების მიმართ არ გამოიყენება. ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე, პატიმრობა — როგორც სასჯელი არ გამოიყენება; მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე სასჯელის მაქსიმალური ზომა იქნება თავისუფლების აღკვეთა 10—დან 15 წლის ვადით.

ახალი კოდექსი „სუფთა ფურცლის“ და „შანსის მიცემის“ პრინციპებსაც ითვალისწინებს. მინისტრის განმარტებით, კანონპროექტის მიხედვით, ბავშვს სასჯელის მოხდისთანავე მოეხსნება ნასამართლობა. თუმცა, თუ ადრე გასამართლებული ბავშვი დანაშაულს განმეორებით ჩაიდენს, სასჯელის დანიშვნის დროს ნასამართლობა მხედველობაში იქნება მიღებული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროექტი პარლამენტს განსახილველად მიმდინარე წლის ბოლომდე წარედგინება. მინისტრი ვარაუდობს, რომ კოდექსის მიღება გაზაფხულამდე მოხდება, ძალაში კი ეტაპობრივად 2015 წლის სექტემბრიდან შევა.

იუსტიციის მინისტრი ყურადღებას ახალი კოდექსის მიღების შემდეგ აუცილებელ საორგანიზაციო საკითხებზე ამახვილებს.

„გადამზადება სჭირდება შესაბამის პერსონალს პოლიციელიდან დაწყებული და მოსამართლეთა დამთავრებული. გარკვეული კონტიგენტი გადაამ-

ზადდება. იქ, სადაც სასამართლოებში არის კოლეგიური შემადგენლობა, კოდექსი ამბობს, რომ შემადგენლობის ხელმძღვანელი იყოს სპეციალიზებული მოსამართლე, რომელიც არასრულწლოვანთა საქმეებს განიხილავს. სადაც ერთია, იქ ის მოსამართლე იქნება სპეციალიზებული.

ახალი კოდექსის სწრაფად ამოქმედებასთან დაკავშირებით კიდევ ერთ პრობლემას ის ქმნის, რომ არასრულწლოვანი ბრალდებული არ შეიძლება განთავსდეს სრულწლოვანთან ერთად არა მხოლოდ ერთ საკანში, არამედ ერთ დაწესებულებაშიც კი. დღეს ჩვენ მსჯავრდებული არასრულწლოვნები გვყავს ავჭალის დაწესებულებაში. რაც შეეხება წინასწარ პატიმრობას, ამისთვის ჩვენ ცალკე დაწესებულება არ გვაქვს, რის გამოც ხშირად გვაკრიტიკებენ. ბრალდებული არასრულწლოვნები მოთავსებული არიან გლდანის სასჯელალსრულების დაწესებულების ცალკე ნაწილში. ვიდრე ეს საკითხი არ მოგვარდება, ეს ჩაითვლება ამ კოდექსის დასაერთაშორისო ნორმების დარღვევად. სასჯელალსრულების სამინისტრო უკვე აშენებს ახალ ციხეს. დროებითი მოთავსების იზოლატორებში უფრო რთულად არის საქმე, აქაც მომზადდება სჭირდება სისტემას“, — აღნიშნავს თეა წულუკიანი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროექტი იუსტიციის სამინისტრომ ევროკავშირის და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მოამზადა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი



## ახლადმიღებულ პატიმრებს ე.წ. „კარანტინებსა“ და „ფუქსებში“ აღარ განათავსებენ

სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილება გახსნა. ახალი კონცეფცია სასჯელალსრულების სისტემაში წარსულში არსებულ გამოცდილებას აუქმებს, რომელიც ახლადმიღებული პატიმრის ე.წ. „კარანტინებსა“ და „ფუქსებში“ განთავსებას გულისხმობდა.

გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილება ერთ სივრცეში უზრუნველყოფს უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების, ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასების,

კრიზისის მართვის და სუიციდის პრევენციისთვის აუცილებელ ღონისძიებებს.

„განყოფილებამ უნდა უპასუხოს დინამიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებს. იგი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით არის დაპროექტებული და შექმნილი, პერსონალმა კი, რომელიც განყოფილებაში იმუშავებს, გაიარა სპეციალური მომზადება“, — განაცხადებს სასჯელალსრულების სამინისტროში.

სამინისტროს ცნობით, წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა (CPT)

2010 და 2012 წლების ანგარიშებში ორჯერ გააკრიტიკა საქართველო, სასჯელალსრულების სისტემაში არსებულ „კარანტინებში“ მცირე „კუბიკისებური“ სათავსოების გამო, სადაც პატიმრის ყოფნა დაუშვებლად იქნა მიჩნეული. ორივე ანგარიშში კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებას აღნიშნული პრაქტიკის გაუქმებისკენ მოუწოდებდა.



# დიეტური ტერფი

**კირილასო მკითხალო, პა-  
ბრაჟაპალი საუბრაჟის შიკაჟს  
ლინკაჟთან ღაკაჟიარაჟით.  
ამჟაჟარჟ პართ-პართ გართუჟა-  
ბას ღაკაჟაჟარ ჟარჟს” ჟაჟაჟა-  
ბით. ჩჟანს კითხჟაჟს ჟჟაჟა**

- ეს გახლავთ: მგრძნობლო-  
ბის დაჟვეითება,  
ტერფჟებში სიცივის ან სი-  
მბურვალის შეგრძნება, არასა-  
სიმოვნო შეგრძნება ტანსაცმლის  
შეხებისას, კუნთების ატროფია

გამოინვიოს.-ქსოვილები და კანი  
კვდება, ტერფი მავდება და სჟე-  
ციფიური სუნი აჟეს. განგრენა  
რომ არ გავრცელდეს, საჟირო  
ხდება თითის, ტერფის ან ფეხის  
ამჟუტაცია (მოკვეთა).

ცელდეს ფეხილებზე, რაც მათი  
გაჟქელებითა და სიცივითლით გა-  
მოიხატება.  
- როგორ უნდა მოუჟართო  
ქვედა კიდურებს შაჟრიანი დიაბე-  
ტის ღარის?



**- რა არის დიაბეტური ტერფის  
პრობლემები?**  
ნებისმიერ ადამიანს შეი-  
ძლება ჟჟონდეს ცერა თითზე  
კორძები, განუვითარდეს ბჟემ-  
ტუკები და სხვა, მაგრამ თუ ჟა-  
ციენტს აჟეს შაჟრიანი დიაბეტი  
და სისხლში შაჟრის უმეტესად  
მალალი ღონე, ტერფის ასეთი  
გარჟოვანებული ზედაპირი და  
ბჟეტუკები შეიძლება დაჩირჟ-  
დეს. კოჟრები (ე.წ. „მაზოლები“)  
კანის ფენაა, რომლის ნარმოჟმნა  
ერთსა და იმავე ადგილზე ხშირი  
ხახუნის ან ზეწოლის შედეგად  
ჩნდება. კოჟრები შეიძლება  
დაინფიცირდეს.

**1. სისხლის  
მიწოდების და-  
რღჟეჟა:-** მეორე  
პრობლემა, რო-  
მელიც „დიაბე-  
ტური ტერფის“  
ჩამოყალიბებას გა-  
ნაპირობებს, არის  
ფეხებში არასაკჟა-  
რისი რაოდენობის  
სისხლის მიღინება.  
ამის გამო ჟჟი-  
ლობა ან ნეკროზი  
ძნელად ხორცდება. ამ პრო-  
ბლემას ვასკულარული (სისხლ-  
ძარღვოვანი) დაავადება ანუ  
დიაბეტური მაკროანგიოპათია  
ენოდება. ქოლესტერინის შე-  
მცველი ფოლკჟების ჩალაგე-  
ბა მსხვილი სისხლძარღვების  
კედლებში (ათეროსკლეროზი)  
ინვეეს სისხლძარღვთა სანათურ-  
ის შევიწროებას, შედეგად კი  
ქსოვილებსა და ორგანოების  
კვების დარღვევას.

- ყოველდღე დაითვალიე-  
რეთ ქვედა კიდურები, ტერფე-  
ბი, რათა არ გამოგეჟართო შე-  
შუჟება, შენითლება, ნაკანრები,  
ჟრილობა, ნეკროზი, ბჟეტუკი..  
თუ ვერ იხრებთ, ან ტერფს ვერ  
აბრუნებთ, დასათვალისერებლად  
გამოიყენეთ სარკე. თუ კარგად  
ვერ ხედავთ, ტერფების შემონ-  
მება სხვას სთხოვეთ.

მატებულია. არ იყიდოთ მაგარი  
და ვიწრო ფეხსაცმელი. არ ია-  
როთ ფეხშიშველმა, ფეხსაცმელი  
არ ჩაიცვათ შიშველ ფეხზე. ყო-  
ველდღე დაათვალიერეთ თქვენი  
ფეხსაცმელი: მასში შეიძლება  
მოხვდეს უცხო სხეული, ან ჩა-  
საფენი აიკეცოს, რამაც შეიძლე-  
ბა დააზიანოს თქვენი ტერფები.  
დაუყონებლივ აცნობეთ  
თქვენს ექიმს ფეხების ნებისმიე-  
რი პრობლემის შესახებ.

## პიტი ჯეოკარინოლოგი მარი- ნა მხერმიშვილი პასუხობს.

**ქალბატონო მარინა, გთხოვთ,  
გვესაუბროთ „დიაბეტური ტერ-  
ფის“ შესახებ.**

შაჟრიანი დიაბეტის სერიო-  
ზული გართულებების ერთ-  
ერთი გავრცელებული ფორმაა  
„დიაბეტური ტერფი“.

ქვემო კიდურების დაზიანება  
შაჟრიანი დიაბეტის დროს დაკა-  
ვშირებულია როგორც სისხლძა-  
რღვების, ასევე ნერვული დაბო-  
ლოებების დაზიანებასთან.

ხანგრძლივი დროის განმავ-  
ლობაში სისხლში მომატებულმა  
შაქარმა შეიძლება გამოინვიოს  
ფეხებისა და კანის პრობლემების  
განვითარება.

### - როგორ აზიანებს შაჟრიანი დიაბეტი ფეხებს?

სისხლის შაქრის მუდმივად  
მალალი ღონე ინვეეს ორ გარ-  
თულებას:

1. ნერვის დაზიანება - შა-  
ქრიანი დიაბეტი აზიანებს ფეხის  
ნერვებს, რის გამოც პაციენტი  
ვერ შეიგრძნობს ტკივილს, სით-  
ბოს ან სიცივეს, ამიტომაც ტერ-  
ფის ჟრილობა ან ნეკროზი შეი-  
ძლება გაუარესდეს იმის გამო,  
რომ პაციენტი ვერ ამჩნევდა  
(შეიგრძნობდა) მას. შეგრძნების  
დაჟვეითება გამოიწვევლია სწო-  
რედ ნერვის დაზიანებით, რასაც  
დიაბეტური ნეიროპათია ჟჟეია.  
- რა არის დიაბეტური ნეირო-  
პათიის ძირითადი სიჟომები?

გარდამავალი კოჟლობა,  
ქვემო კიდურების გაციება,  
კუნთების ატროფია, ტკივილი  
სიარულის დროს, კანის ციანო-  
ზი (მოლურჯო ფერი), შეუსო-  
რცელებელი ნეკროლები, სისხლის  
მიმოჟცვის მძიმე მოშლის შე-  
მთხვევაში შესაძლოა განგრენის  
განვითარება. განვიხილოთ მაგა-  
ლითი: პაციენტს ფეხსაცმლისა-  
გან ტერფზე გაუჩნდა ბჟეტუკი.  
ის ვერ გრძნობს ტკივილს, რად-  
განაც დიაბეტის გამო ტერფის  
ნერვი დაზიანებული აჟეს, შემ-  
დეგ ბჟეტუკი სკდება, ინფიცირ-  
დება. სისხლში შაქრის მომატე-  
ბული ღონე ინვეეს ბჟეტუკში  
მიკრობების გამრავლების ხელ-  
შეწყობას. მიკრობები მრავლდე-  
ბა და ინფეჟცია რთულდება. და-  
ჟვეითებული სისხლმიმარაგება  
აწელებს შეხორცების პროცესს,  
ინფეჟციამ, შესაძლოა, განგრენა

ჩაზრდილი ფეხილი - ნარ-  
მოიჟმნება, როცა ფეხილის კიდე  
ზრდას განაგრძობს კანში. როცა  
ფეხილები კიდეებში ზედმეტად  
მოჟრილია, ის შეიძლება ჩაიზარ-  
დოს. ასევე, ვიწრო ფეხსაცმელმა  
შეიძლება გამოინვიოს ჩაზრდი-  
ლი ფეხილის განვითარება.

არ დაიჟართო  
ფეხილები ბასრი  
მაკრატლით, დაი-  
მუშავეთ ქლიბით.  
ფეხილები დაიჟე-  
რით დაბანის შემ-  
დეგ, როცა ისინი  
დარბილდება. არ  
დაიჟართო ფეხილე-  
ბი ძალიან მოკლე.  
- კანის გაუხე-  
შებული ნანილების  
მოსაშორებლად არ  
გამოიყენოთ ქი-  
მიური საშუალებე-  
ბი ან პლასტიკები.  
გარჟოვანებული  
კანი ფრთხილად  
გაიჟიბეთ ან ნა-  
ზად გაიხეხეთ ჟე-  
მზის ჟეით. ეს პრო-  
ცედურა ჩაიტარეთ  
დაბანის შემდეგ.

მოხრილი ნიწნები  
დაფხვნილი ნიწნები  
დაფხვნილი ნიწნები  
დაფხვნილი ნიწნები  
დაფხვნილი ნიწნები



კორძი ნარმოიჟმნება, როცა  
ფეხის ცერა თითი იხრება პატა-  
რა თითებისკენ და მისი ფუჟე  
იზრდება. ეს ადგილი წითლება,  
ნეკროდება და ინფიცირდება.  
ვიწრო ფეხსაცმელი შეიძლება  
იყოს ამის მიზეზი.

- ნარმოიჟმ-  
ნება, როცა ფეხსაცმელი ეხახუ-  
ნება ტერფის ერთ რომელი-  
მე ადგილს. ნინდების გარეშე  
ფეხსაცმლით სიარული აძლიე-  
რებს ბჟეტუკების ნარმოიჟმნას,  
ბჟეტუკები შეიძლება დაინფი-  
ცირდეს.

სისხლძარღვების  
დაზიანება  
დაფხვნილი ნიწნები  
დაფხვნილი ნიწნები

# 1 დეკემბერი შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღეა!

ცნობილია, რომ კაცობრიობა შვი-  
დასი ათასი წლის განმავლობაში ბედ-  
ნიერად ცხოვრობდა და მრავლდებოდა  
ყოველგვარი „მეცნიერული სწავლების“  
გარეშე, მაგრამ მას შემდეგ, მისი არ-  
სებობის ხანგრძლივ ისტორიას მრავალი  
ეპიდემია ახსოვს, მათ შორისაა აივ/  
შიდსი, რომელიც პირველად 1981 წელს  
იქნა აღმოჩენილი აშშ-ში, აღმოჩენის  
დღიდან დიდი ყურადღება მიიქცია და  
სულ მოკლე ხანში გლობალურ პრო-  
ბლემად იქცა მსოფლიოში. 2004 წლი-  
დან საქართველომ აღმოსავლეთ ევრო-  
პის რეგიონში უზრუნველყო პანდემიაზე  
მკურნალობის უნივერსალური ხელმი-  
საწვდომობა. 2013 წლის მონაცემებით  
ჩვენს ქვეყანაში რეგისტრირებულია  
4084 შემთხვევა, მათგან 3000 მამაკაცი  
და 1084 ქალია, საერთო ჯამში კი აივ/  
შიდსით დაავადებულითა საჯარაუდო რი-  
ცხვი 6600-ია.

შე, მის განვითარებაზე, საზოგადოების  
მხრიდან დაავადებულთა მიმართ სტიგ-  
მატიზაცისა და დისკრიმინაციაზე.  
დღეს როგორც არ  
უნდა ვარწმუნოთ ერთ-  
მანეთი, რომ თითქოს  
ჩვენს შორის ზღვარი  
არ არსებობს, რეა-  
ლობა სულ სხვაა. ეს  
განსხვავება და შიში ამ  
დაავადების აღმოჩენის  
დღიდან არსებობს და  
აღბათ, იქნება მანამ, სა-  
ნამ იგი დაუმარცხებელია.  
ინფიცირებულთა გარიყვა  
ის სოციალური დამლა,  
რომელსაც ამ ადამიანებს  
საზოგადოება ზოგჯერ  
ცნობიერად, ზოგჯერ  
გაუცნობიერებლად  
ანიჭებს.  
სატელევიზიო რე-  
კლამების მეშვეობით  
საზოგადოების კარგად  
ინფორმირებულობის  
მიუხედავად, ინფიცირე-  
ბულთა საზოგადოებაში სრულფასოვანი  
თანაცხოვრება დღემდე პრობლემად რჩე-

ბა და კვლავ უცვლელია სტერეოტიპი,  
რომლის მიხედვითაც, თითოეული დაინ-  
ფიცირებული ქალი ასოცირდება მსუბუჟ  
ყოფაჟევეასთან, ხოლო მამაკაცი ნარკო-  
ტიკის მოხმარებასთან, არადა, არსებობს  
მთელი რიგი სტატისტიკური მონაცემი,  
როდესაც მსხვერპლი სრულიად უდანა-  
შაულია და მისი დასწავლება სამედი-  
ცინო დაწესებულებაში არსებული უსა-  
ფრ -  
თხოების ზომების დარღვევის  
შედეგია. ეს ის განსაკუთრებული  
შემთხვევებია, როდესაც შეი-  
ძლება ადამიანი თვითმკლე-  
ლობამდე მივიდეს. რა ჟნას  
სასწარმეველი ავადმყოფ-  
მა, ვის მიმართობს, ზოგჯერ  
მის თანაგრძნობაზე უარს სა-  
კუთარი მშობლები და შვილე-  
ბიც კი ამბობენ... თემა იმდენად მძიმეა,  
მის სიღრმეებში შესვლა და ფიქრი შო-

კისომგვრელია. ეს ის თემაა, რომლის  
სტერეოტიპი ადამიანმა ჯერ საკუთარ  
თავში უნდა დაანგრის, ამისათვის  
„გაურკვეველი შიში“ უნდა გადალახოს  
მათ მიმართ და შემდეგ აუცილებლად,  
თუნდაც ერთი წუთით, საკუთარი თავი  
წარმოიდგინოს მათ ადგილზე, მაშინ მი-  
ზგვებით, რომ ცხოვრებაში ადამიანე-  
ბის თანადგომაზე მალა არაფერი დგას  
და ისინი მხოლოდ შიდსთან ბრძოლის  
დღეს არ უნდა გვახსენდებოდნენ. 1  
დეკემბრის შემდეგ ჩვენ ყველა ჩვენი  
გზით ვაგრძელებთ ცხოვრებას და  
მათზე ფიქრით მაინცადამაინც თავს  
არ ვინუხებთ. არადა, პრობლემა ბე-  
ვრად მასშტაბურია, ვიდრე წარმო-  
გვიდგენია! მიუხედავად იმისა, რომ  
უკანასკნელი წლების დინამიკა აივ/  
შიდსის ახალი შემთხვევების ნულ, სტა-  
ბილურ ზრდას მიუთითებს, ხოლო 2013  
წლის მაჩვენებელი 102 ერთეულით ჩა-  
მოუვარდება 2012 წლის მონაცემს, ჩვენ  
არ გვაქვს უფლება, მოვადუნოთ ყურა-  
დღება ამ უდიდესი მსოფლიო პრობლე-  
მის წინაშე და კიდევ ერთხელ არ გვაჟც-  
ნობიერთ მისი რეალური საფრთხე.

კლზა ხარაშვილი



# მართლმადიდებელი მორწმუნეებისთვის შობის მარხვა დაიწყო

28 დეკემბრიდან მართლმადიდებელი მორწმუნეებისთვის შობის მარხვა დაიწყო, რომელიც 7 იანვარს, უფლის შობის დღესასწაულზე დასრულდება. მარხვა 40 დღე გაგრძელდება. იგი მორწმუნეებს უფლის შობის დღესასწაულისთვის მოამზადებს.

როგორც საპატრიარქოში განაცხადეს, ტრადიციულად, შობის მარხვის დროს, 25 დეკემბრამდე მორწმუნეებს, ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა, კვირის სხვა დღეებში, თევზის მიღება შეეძლებათ. შემდეგ თევზით სსნილია მხო-

ლოდ 31 დეკემბრის საღამოს და პირველ იანვარს. მორწმუნეებისთვის შემდგომ 7 იანვრამდე მარხვა ჩვეულებრივ გაგრძელდება. წმიდა სახარების მიხედვით, უფალი იესო ქრისტე, სულიწმინდის მადლით ყოვლად-

წმინდა ღვთისმშობლისგან, უდიდესი თავმდაბლობის ნიშნად, ბეთლემში, გამოქვაბულში იშვა, სადაც მწყემსები უამინდობისას საქონელს აფარებდნენ. განკაცებული უფლის შობა იქ მყოფ მწყემსებს უფლის ანგელოზებმა ახარეს. პირველად

მათ იხილეს მაცხოვარი. უფრო მოგვიანებით ბეთლემში აღმოსავლეთიდან მოგვებიცი მივიდნენ, რომლებიც იქ უჩვეულოდ მოკაშკაშე ვარსკვლავმა მიიყვანა. მათ ახალშობილ მაცხოვარს ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური მიართვეს.

# მარხვა მხოლოდ საკვების შეზღუდვას არ ნიშნავს

**რა არის მარხვა?**  
მარხვა ნიშნავს საკუთარი თავის შენახვას, მარხვა არ ნიშნავს კონკრეტულად, საკვების შეზღუდვას. ნიშნავს საკუთარი თავის დაცვას ცოდვებისგან. საკვები კი ამის გარეგნული გამოხატულებაა. ამის მიხედვით არ დაგვავიწყდება, რომ თავი დიდი დღესასწაულის შესახებ უნდა შევინახოთ. მარხვით მონიშნავს გამოვსახვას უფლის მიმართ. ზოგიერთი კი ამბობს, მართლმადიდებლები მარხვას იმიტომ იწინააღმდეგებენ, რომ გლოვობთო. მარხვა სამგლოვიარო კი არ არის, არამედ იგი არის საკუთარი თავის დაცვა ცოდვებისაგან, მომზადება კონკრეტული წმინდა დღის აღსანიშნავად და მასთან შესახვედრად.  
**- როგორ უნდა მოვემზადოთ შობის მარხვისთვის?**  
- როგორც სხვა მარხვებისთვის ვემზადებით, ისე უნდა მოვემზად-

დოთ ახლაც. უნდა ავიკრძალოთ რაღაცა სასუკვარი, რაც გვსიამოვნებს, რაც გვიყვარს. განა იმიტომ, რომ ცუდია, პირიქით, იმიტომ რომ კარგია. ამქვეყნიურ სიამოვნებაზე ვამბობთ უარს იმის გამო, რომ ჩვენი გულისთვის მაცხოვარმა ყველაფერზე უარი თქვა, იტანჯა, რათა კაცობრიობა გამოეხსნა. იგი ამბობს: "მე ვარ გზა ცხოვრებისა", რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ვცადოთ და როგორმე ოდნავ მაინც მივაშვავსო ჩვენი ცხოვრება იმ გზას, რა გზითაც უფალმა იარა. არ უნდა მივეჯაჭოთ ამქვეყნიურ სიამოვნებას, რადგან ყველაფერი წარმავალია. მაცხოვრის შობით კაცობრიობის ისტორიაში, ახალი სტადია — სამყაროს განახლების პერიოდი დაიწყო. მამები ამბობენ: "მაცხოვრის შობამ, სამჯერ უფრო ბრწყინვალე გახადა მზეო". შეიძლება ხილულად მზე არ გაკაშკაშდა, მა-

გრამ კაცობრიობას ნათელი მოუტანა.  
**- რას ნიშნავს ნათელის მოტანა?**  
- ხალხს გონება გაუნათა. რაც ქრისტემდე ხდებოდა წარმართულ სამყაროში: შვილების მსხვერპლად შეწირვა, თუნდაც საქონლის მსხვერპლად შეწირვა, ეს ყველაფერი უაზრო გახდა. მოციქულების კანონებში წერია: "ვისაც ჰგონია, რომ საკლავის სისხლით წინაპართა ცოდვებს გამოისყიდის, წყეული იყოსო". ღმერთმა საკლავი იმისთვის გააჩინა, რომ ისე გამოიყენოს, როგორც საჭიროა და არა იმიტომ, რომ ვიღაცას ან რაღაცას შესწიროს მსხვერპლად. ქრისტეს შობით იწყება ახალი ერა, კაცობრიობის მომზადება წესიერი ცხოვრებისათვის. ქრისტიანობა მარტო რელიგია არ არის. მეორეს მხრივ, ქრისტიანობა არის ამაღლებული მორალი და ჩვენი ცხოვრების წესიც. ქრისტემ გონებრივი სინათლე შემოიტანა, ამიტომ მოვეუწოდებთ ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, რომ შევინახოთ მარხვა, რათა დავადგეთ ქრისტეს ცხოვრების გზას.



**დურმიშან (დურო) ჯამალაშვილი**



ბას ჯერაც ვერ შეეგუვნენ. პირველმა სიხარულმა მარიკამ ოჯახი შექმნა, ბედნიერია ქმარ-შვილთან. შვილთაშვილი ლუკა სურათიდან გიცნობს. მეორე სიხარული ზვიადი (ზუკა) მალე შექმნის ოჯახს. შვილიშვილებიც საამაყო გაყავს. დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები, პრომოტენ კეთილსინდისიერად. ლამა, ნინო, ხატია, სოფო შრომის ფერხულში არიან ჩაბმული. თორნიკე (თოკო უკვე 15 წლისაა), ეკლესიურია და ფიქრობს უფალს და ხალხს ემსახუროს.

ყველამ პატივი მოგაგო, ყველამ გულით დაგიტირა და გაგაცილა უკანასკნელ გზაზე. ყველასთან სიკეთე და კარგი კაცობა დაიმსახურე და მადლობას შენს შვილებს და შვილიშვილებს უუბნებინა.

20 ნოემბერს კულტურის სახლში, ჯულტურის დარგის ამგდარები გაიხსენეს. შენზეც ისაუბრეს, როგორც სკოლის დირექტორზე, პედაგოგზე, კულტურის დარგის ღვანდომოსილ ადამიანზე.

ილოცე შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის, რძლებისთვის, დინარასთვის, მისი შვილებისა და შვილიშვილებისთვის. დინარა უკვე ბებია გახდა.

**შვილები:** ზაზა, ზურა, ვასიკო; **რძლები:** მანანა, მანი, მარინა. **შვილიშვილები:** მარინა, ზვიადი, ნინო, ხატია, ლაშა, სოფო, თორნიკე **ჯამალაშვილები.** და დინარა; **სიძე:** რაული; **დისშვილები:** პალატი, ნინო ხუნდაძე.

**ვლადიმერ გომოჭური**



ორმოცი დღე მილია, რაც შენს ტანჯულ სხეულს შენი მართალი სული გაეყარა და ზეციურ საუფლოში დაიდო ბინა. 2001 წლის მარტში დასრულდა შენთვის ჯანმრთელი და აქტიური ცხოვრება. მოულოდნელად დაკარგე მეტყველების უნარი და მას შემდეგ ტანჯვად გექცა სიცოცხლე, რადგან ცნობიერება გქონდა, მაგრამ ადამიანებთან კონტაქტს ვერ ახერხებდი, რაც ძალიან გთრგუნავდა. შენ ხომ ათეული წლები სულ ხელმძღვანელად მუშაობდი - ვერ ბრიგადირი იყავ, მერე კი პარტიული ორგანიზაციის თავმჯდომარე სოფელ ვა-მარჯვების კოლმეურნობაში, 12 წელი კი, მოულოდნელი ავადმყოფობის დღემდე, სათავეში ედექი წითელწყაროს სატყეო მეურნეობას და წარმატებით უძღვებოდი მას.

სიცოცხლის ბოლო 14 წელი შენთვის არასრულფასოვანი იყო. ავადმყოფობასთან ხანგრძლივმა ბრძოლამ, მედკამენტების უწყვეტმა მოხმარებამ მრავალმხრივ შეარყია შენი ჯანმრთელობა და შენი სიცოცხლეც დასრულდა. 14 წელი ჩვენ ერთად ვებრძოდით შენს ავადმყოფობას და, თავდაუზოგავობის მიუხედავად, დავმარცხდით. დამტყვევ მარტოდმარტო. თან წაიღე ტკივილი და უკმარისობის გრძობა უშვილობის გამო. 3 დეკემბერს ორმოცი დღე გასრულდება შენ წარსდგები უფლის სამსჯავროს წინაშე და მჯერა, სასუფეველს დაიმკვიდრებ, რადგან კეთილი, თბილი, უბოროტო ადამიანი იყავი. გიყვარდა და ზრუნავდი შენს გარემომყოფებზე. ძალიან დააკლდი ყველას-ძმას, დას,

დისშვილებს, მეზობლებს, ნათესავებს. 3 დეკემბერს მოვალთ შენს საფლავზე, დაგინებთ სანთლებს და ერთხელ კიდევ შევავედრებთ უფალს შენს სულს, რათა დაიმკვიდრო ადგილი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

**შენი მეუღლე**  
**ნათელა გომოჭური.**

მეუღლე გოგია ყუშიტაშვილი, შვილები, მანანა, მარინა, სიძეები: ბორია ნატროშვილი, თენგიზ თეთვაძე, შვილიშვილები: ბექა, გვანცა, მარია. და მარია; დისშვილები, ძმისშვილები. მულისშვილები იუნყებინა **ზინა ჯატაშვილი**ს გარდაცვალებას. დაიკრძალა 29.11.2014 წელს; ქ. დედოფლისწყაროში.

შვილი სიმონ კობაძე, რძალი თამარ არჩემაშვილი. შვილიშვილები: მიხეილ, ნიკოლოზი, მარიამ კობაძეები იუნყებინა, რომ გარდაიცვალა **ბაპულა ნიკოლოზის ასული ჯანაშვილი-კობაძე**. დაიკრძალა ქალაქ დედოფლისწყაროში, მისამართი: ჰერეთის ქუჩა N149

**ნარიშან იაკობიშვილი**



რა სწრაფად გადის დრო. იმასაც ამბობენ-დრო მკურნალიაო. არა, დრო ვერ განკურნავს იმ ღრმა ჭრილობას, რასაც ოჯახის წევრს სიკვდილით გამოწვეული ტკივილი ჰქვია. ჩვენი ძვირფასო ნარიშან, ოთხ დეკემბერს ერთი წელი ხდება, რაც დატოვე შენი ამქვეყნიური საცხოვრებელი და ნახევარი ჩვენს გაუხარულ შვილთან. შენ უფრო ძლიერი აღმოჩნდი, შენ მაჯობე შვილის სიყვარულში. შვილის სიკვდილიდან ორი თვის შემდეგ შენც მასთან ნახევდი. ვერ გაუძლო შენმა გულმა დარდს, ტკივილს და ნოდარისთან ნასვლა გადამწყვიტე.

ნუ მიწყენ, ჩვენი ბერიკაცი, რომ, როდესაც, თუნდაც 4 დეკემბერს შენს საფლავზე მოვალთ, პირველად ჩემს შვილს დავიტირებ, მას დავუნთებ სანთელს და მერე... მერე შენ მოგაქცევ ყურადღებას. შენ მოხუცი ხარ, 86 წლის. ვიცი მოხუცებს ყველაფერი მალე სწყინთ და მალე უხარიათ. დედის გული პირველად შვილის სურათს მოფერებდა, მოესიყვარულება და მერე შენ მოგხედავს. შეგხეებები, მეც წამოყვანი თქვეთან, იქნებ შენ მაინც შეისმინო ჩემი ვედრება, რადგან ძალიან მენატრება ჩემი შვილი, მეცოდები შენ, მაგრამ ვცოცხლობ იმ იმედით, რომ ჩვენ მანდ სამივე საუკუნოდ ერთად ვიქნებით.

**შენი ცოლი** - ნაზიკო იაკობიშვილი; **შვილი** ნანა, **სიძე** პორის კახეთელიძე; **შვილიშვილები:** ლათო, კახა, ალიკა, ლაშა. **რძლები:** კესო, ზინინა.

